**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/27

ქ. ბათუმი 21 მარტი, 2019 წ.

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების პირველი პუნქტის $1^2$ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$1^2$. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩარიცხული სტუდენტებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი (სასწავლო პროცესის ვადები) განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდეს 2019 წლის 01 მარტს;

ბ) საშობაო არდადეგები 2018 წლის 29 დეკემბრიდან 2019 წლის 7 იანვრის ჩათვლით;

გ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 04 მარტიდან 2019 წლის 23 მარტის ჩათვლით;

დ) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 25 მარტიდან 2019 წლის 30 მარტის ჩათვლით;

ე) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2019 წლის 01 აპრილს და დამთავრდეს 2019 წლის 27 ივლისს;

ვ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 29 ივლისიდან 2019 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით;

ზ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 12 აგვისტოდან 2019 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით.

2. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**